**პროექტი**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №**

**2023 წლის „ “ ნოემბერი, ქალაქი ბათუმი**

**ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N38; კახაბრის ქ. N40; კახაბრის ქ. N40-ს მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 05.31.07.372, 05.31.07.373, 05.31.07.852) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარების და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N38; კახაბრის ქ. N40; კახაბრის ქ. N40-ს მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 05.31.07.372, 05.31.07.373, 05.31.07.852) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზ-ღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $კ^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს განმცხადებელს, რომ იგი ვალდებულია დაიცვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 22 ნოემბრის N 01-01-10/6558 წერილით დადგენილი პირობები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5 . განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **რამაზ ჯინჭარაძე**

## განმარტებითი ბარათი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N38; კახაბრის ქ. N40; კახაბრის ქ. N40-ის მიდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 05.31.07.372, 05.31.07.373, 05.31.07.852) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

#### ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განმცხადებელი შპს ,,ინთაუნ'' მოთხოვნილია ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N38, 40, 40-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკევთებზე ( ს/კ. 05.31.07.372, 05.31.07.373, 05.31.07.852 ) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცება. დაგეგმვის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მოთხოვნილი განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის ოდენობა შეადგენს 4,6-ს. განმცხადებლის მიერ პროექტირების ეტაპზე, დაზუსტდება მაკომპენსირებელი ღონისძიების ოდენობა, რომელიც შეადგენს გადამეტებული კ2 მაჩვენებლის 10 %-ს.

#### ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N38; კახაბრის ქ. N40; კახაბრის ქ. N40-ის მიდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ. 05.31.07.372, 05.31.07.373, 05.31.07.852) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღება.

### ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

### **გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა

**ე) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური;

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

**ზ)** განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**ქალაქგანვითარებისა და ურბანული**

**პოლიტიკის სამსახური**